ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №48/17

ქ. თბილისი

19 აპრილი 2017 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ, **ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო,"** წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი დოლიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6, ს/კ # 204911337, ტელ. 2752352, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22, ა/ა # 200122900

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ, **შპს "კომპაუდი",** წარმოდგენილი მისი დირექტორის მიდნობილი პირის (სანოტარო მოქმედების რეგისრაციის № 170159575), ნუგზარ ხიჯაკაძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი") იურიდიული მისამართი ქ. თბილისი წერეთლის გამზ.,№95/ა; ს/კ: 202385169, ტელ. 599351143; სს "საქართველოს ბანკი", კოდი# BAGAGE22, ა/ა # GE62BG0000000192631800

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია **აუდიტორული მომსახურებების (CPV79212000 - აუდიტორული მომსახურება)** (შემდგომში "მომსახურება") სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე–2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 შესყიდვა ხორციელდება სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით, სააგენტოს ცენტრალური აპარატის საჭიროებისათვის 2017 წლის 31 მარტის #2177 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

1.3 სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **2000** (ორი ათასი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და გადასახადების ჩათვლით (მათშორის დღგ-ს ჩათვლით).

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

2.1 შესყიდვის ობიექტია, აუდიტორული მომსახურებების შესყიდვა.

2.2 მომსახურების დასახელება, მდებარეობა, შეფასების ვადა და ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში (დანართი 1 ფურცლად).

2.3. მიმწოდებელი ორგანიზაციის პერსონალს, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ აუდიტორულ შეფასებას, უნდა გაჩნდეს აუდიტორის კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ხოლო მინიმუმ ერთ პიროვნებას უნდა გააჩნდეს საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც განახორციელებს შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილი აუდიტორული შეფასებების ხელმოწერით დამოწმებას. ზემოაღნიშნული სერთიფიკატების ასლები წარმოდგენილი უნდა იქნას აუდიტორული შეფასებების შედეგებთან ერთად.

2.4. მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ეთიკის კოდექსის გათვალისწინებით;

2.5. აუდიტის შედეგებსა და რეკომენდაციებს მიმწოდებელი ასახავს დასკვნაში, რომელიც შემსყიდველს გადაეცემა როგორც დაბეჭდილი, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით (2 ეგზემპლარი).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მომსახურების გაწვის ვადა და ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1-ით.

3.2 აუდიტორული შეფასებების შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას. #6. მე-5 სართული, ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო,"

3.3. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. გაწეული მომსახურების, ხარისხისა და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს იურიდიული სამსახურის უფროსი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება, ეტაპობრივად მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს გაწეულ მომსახურებას, ხოლო თუ, მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული მომსახურება მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს ეკონომიკური სამსახურის მთავარი სპეციალისტი - ლევან კამლაძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში..

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, გონივრულ ვადაში;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების (მათ შორის, მომსახურების გაწევის ვადების) დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

13.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. მიმწოდებლის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესტა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.2. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან''; ხოლო ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“	**შპს "კომპაუდი"**
_____	_____
გიორგი დოლიძე თავმჯდომარის მოადგილე	ნუგზარ ხიჯაკაძე დირექტორის მიდნობილი პირი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2017 წლის 19 აპრილის №48/17 ხელშეკრულების დანართი №1

#	მომსახურების დასახელება	მდებარეობა	მომსახურების გაწევის ვადა	ღირებულება (ლარი)
1	*2*	*3*	*4*	*5**
1	მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლის ვიზიტორთა ცენტრში სუვენირების მაღაზიისათვის ფართის საბაზრო ღირებულების დადგენა	მარტვილის მუნიციპალიტეტი, ს. ინჩხური	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **10 (ათი)** კალენდარული დღის ვადაში	200
2	მარტვილის კანიონის ტერიტორიაზე მდებარე წისქვილის საბაზრო ღირებულების დადგენა;	მარტვილის მუნიციპალიტეტი, ს. ინჩხური		200
3	ლაგოდეხის აღკვეთილში 72 კვ.მ და 1000 კვ.მ ფართების აღნაგობის საწყისი ფასის განსაზღვრა და საძოვრების საიჯარო ქირის განსაზღვრა	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი		500
4	ქცია-ტაბაწყურის საძოვრის და სათიბის საიჯარო ქირის განსაზღვრა	ახალციხისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **20 (ოცი)** კალენდარული დღის ვადაში	300
5	ქობულეთის ძველი შენობის (არსებული ინვენტარით) საბაზრო ღირებულების დადგენა	ქ. ქობულეთი		200
6	მტირალას ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრისა და საპიკნიკე ადგილების (არსებული ინვენტარით) საბაზრო ღირებულების დადგენა	დაბა ჩაქვი		300
7	სათაფლიის სასტუმროს და კაფეტერიის (არსებული ინვენტარით) საბაზრო ფასის დადგენა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ბანოჯა	შემსყიდველის **მოთხოვნიდან 10 (ათი)** კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 30 ივნისისა	200
8	მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული ნარჩენების შეფასებია	ხელვაჩაურის რაიონი სოფელი აჭარის აღმართი		100

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“

გ. დოლიძე

გიორგი დოლიძე
თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს "კომპაუდი"

ნუგზარ ხიჯაკაძე
დირექტორის მიდნობილი პირი